საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 25 სექტემბერი, 2014 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/07

,,ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების, მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ 2013 წლის 01 ნოემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს № 05-01/05 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 17-ე მუხლის და უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭო გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების, მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ 2013 წლის 01 ნოემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს №05-01/05 გადაწყვეტილებაში:

საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხელოვნების უნივერსიტეტში მოწვეული სპეციალისტის საათის ღირებულება განისაზღვროს ხელშეკრულებითა და რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმოადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**